სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი №3

ქ. თბილისი 19.04.2017

სხდომას ესწრებოდნენ:

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

აპოლონ სილაგაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არაბისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი (სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარე);

გრიგორ ტატიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რ. აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორი (სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

ნინო დობორჯგინიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ლინგვისტიკურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი (სააპელაციო საბჭოს მდივანი);

მარინე ჩიტაშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ლაშა გოცირიძე - სსიპ - უკრაინის ამერიკული უნივერსიტეტის (American University of Ukraine) რექტორი;

გელა გელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი;

ელენე ჯიბლაძე - სსიპ - ათასწლეულის გამოწვევის ფონდის „საქართველო" (MCA-Georgia), უმაღლესი და პროფესიული განათლების პროექტის კოორდინატორი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი;

ნუგზარ სხირტლაძე - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი, პროფესორი;

დავით კახნიაშვილი - ა(ა)იპ - არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის თავმჯდომარე.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

ანა ლელაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი;

ქეთი ცოტნიაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;
თამარ შენგელია - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წარმომადგენელი:

ელიზბარ ელიზბარაშვილი - საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარე.

შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

ანზორ შარაშენიძე - შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი;
დოდო ჯულუხაძე - შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
ირინე ვაშაკიძე - შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:10 საათზე

თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28^5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28^7 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა წარმოდგენილი სახით ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი.

1. შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს და სთხოვა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და საჩივართან დაკავშირებულ მასალას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისათვის როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ თავდაპირველად სიტყვა გადასცა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარეს ელიზბარ ელიზბარაშვილს, რათა მას დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ელიზბარ ელიზბარაშვილის განცხადებით საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აღნიშნული ფაქტი, რომ თავმჯდომარის შეკითხვაზე გადიოდა თუ არა პროგრამა შედეგზე ექსპერტები დუმდნენ არ შეესაბამებოდა სიმართლეს, ვინაიდან საბჭოს ჩატარების პროცედურის სპეციფიკიდან გამომდინარე ექსპერტი ვალდებული იყო დაეფიქსირებინა ყველა ის გარემოება, რაც პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი უნდა გამხდარიყო. სხდომაზე გაიმართა საკამოდ ხანგრძლივი პოლემიკა, სადაც დაწესებულების წარმომადგენლებმა სათანადოდ ვერ გამოიყენეს მათთვის მინიჭებული დრო. ელიზბარ ელიზბარაშვილმა აღნიშნა, რომ საბჭოს წევრების შემადგენლობაში არ იყო იურისტი, საბჭო გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნით, ზეპირ მოსმენაზე დაწესებულების მიერ დაფიქსირებული პოზიციის შეჯერებისა და ზოგადი პრინციპებით. აღსანიშნავი გახლდათ ასევე ის გარემოება, რომ სამართალმცოდნეობა გახლდათ რეგულირებადი პროფესია, შესაბამისად, სხვა მიმართულების პროგრამებისგან განსხვავებით, არსებობდა სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი, რაც ექსპერტს უადვილებდა მოქმედებას, ვინაიდან აღნიშნული გარემოება არ იძლეოდა ინტერპრეტაციისა და ლავირების საშუალებას, ზუსტად გაწერილი კრიტერიუმებიდან გამომდინარე.

თავმჯდომარემ მიმართა კითხვით ელიზბარ ელიზბარაშვილს დაეზუსტებინა უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი.. ელიზბარ ელიზბარაშვილის განცხადებით გადაწყვეტილების მიღების საფუძველი გახლდათ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა და საბჭოს სხდომაზე ჯგუფის წევრების განცხადება იმის თაობაზე, რომ პროგრამა ვერ გავიდოდა სწავლის შედეგზე.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საჩივარში ასევე ეჭვქვეშ იყო დაყენებული გადაწყვეტილების მიღების პროცედურა, კერძოდ, საბჭოს წევრების ხმათა რაოდენობა. საბჭოს თავმჯდომარემ წაიკითხა ამონარიდი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებიდან", კერძოდ 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილება მიიღებოდა საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა ¾-ით, ¾ -ის არარსებობის შემთხვევაში მიიღებოდა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციაზე უარის თქმის

შესახებ გადაწყვეტილება. შესაბამისად, აპოლონ სილაგაძის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს საბჭოს სხვა წევრებმაც.

ელიზბარ ელიზბარაშვილის განცხადებით ექსპერტთა ჯგუფის შენიშვნები დაყოფილი იყო სამ ჯგუფად, კერძოდ დასკვნაში ასახული იყო არსებითი ხასიათის შენიშვნები, ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციები და სარეკომენდაციო ხასიათის მითითებები. აღნიშნული შენიშვნებიდან საკმაოდ ხანგრძლივი პოლემიკა იქნა გამართული ერთ-ერთი სასწავლო არჩევითი კურსის ფრანგულ ენაზე შეთავაზების შესახებ, ვინაიდან დაწესებულებას პროგრამის მიღების წინაპირობებში არ ჰქონდა გათვალისწინებული ფრანგული ენა. არსებული რეკომენდაციებიდან საბჭოს პრეროგატივა გახლდათ გაემიჯნა თუ რომელი ჯგუფის რეკომენდაციები იყო პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის სავალდებულო და რომელი ჯგუფი ატარებდა პროგრამის გაუმჯობესებისათვის სასურველ ხასიათს.

საბჭოს წევრის მარინე ჩიტაშვილის განაცხადებით, მან შეისწავლა 2016 წლის 12 დეკემბრის საგანმანათლებლო პროგრამების საბჭოს სხდომის ოქმი №6, სადაც დაფიქსირებული იყო, რომ საბჭოს თავმჯდომარე კითხვით მიმართავდა ექსპერტს დავით ბოსტოღანაშვილს, არსებული სახით გადიოდა თუ არა პროგრამა სტანდარტზე, რაზეც დავით ბოსტოღანაშვილი აცხადებდა, რომ არსებული სახით პროგრამა ვერ გავიდოდა დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ შედეგზე, ვინაიდან იყო გარკვეული საგნები რაც აუცილებლად უნდა ყოფილიყო ჩასმული პროგრამაში. შესაბამისად სააპელაციო საჩივარში დაფიქსირებული გარემოება, თითქოს თავმჯდომარის შეკითხვაზე ექსპერტები დუმდნენ არ შეესაბამებოდა სიმართლეს.

ელიზბარ ელიზბარაშვილის განცხადებით, დასკვნაში ასახული რეკომენდაციები წარმოდგენილი იქნა ექსპერტ ზვიად როგავასა და დავით ბოსტოღანაშვილის მიერ, ზეპირი მოსმენის დროს პოლემიკა მიმდინარეობდა ზვიად როგავასა და დაწესებულების წარმომადგენლებს შორის. ყველასათვის ცნობილი გახლდათ, რომ ზვიად როგავას რამდენიმე უნივერსიტეტში ეკავა აკადემიური თანამდებობა, თუმცა, ელიზბარ ელიზბარაშვილის განმარტებით, მისთვის მიუღებელი გახლდათ ექსპერტისთვის ბრალის დადება მიკერძოებულობის თაობაზე. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს სააპელაციო საბჭოს წევრებმაც. ამასთან, ელიზბარ ელიზბარაშვილმა აღნიშნა, რომ თუ დაწესებულება თვლიდა რომ შესაძლო იყო ადგილი ჰქონოდა ექსპერტის მხრიდან არაკეთილსინდისიერ მიდგომას, მას თავიდანვე უნდა ესარგებლა აცილების მექანიზმით, რაც დაწესებულებას არ განუხორციელებია.

საბჭოს წევრი გელა გელაშვილი დაინტერესდა სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განხილვა მოხდა ერთ საბჭოს სხდომაზე, თუ შემდეგ სხდომაზე. ელიზბარ ელიზბარაშვილის განცხადებით პროგრამები განხილული იქნა ერთ დღეს თანმიმდევრობით, საბჭო იცნობდა მსგავს პრაქტიკას, ექსპერტების რეკომენდაციები სამაგისტრო პროგრამაზე გახლდათ უფრო მცირე და დაწესებულების მხრიდან ადვილად გამოსასწორებელი, შესაბამისად სამაგისტრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭებაც გამოწვეული იყო რეკომენდაციების შედარებით მწირი ოდენობით და არც თუ ისე რთული შინაარსით.

საბჭოს წევრი გრიგორ ტატიშვილი დაინტერესდა თუ რა პრობლემას შექმნიდა ერთ-ერთი არჩევითი საგნის ფრანგულ ენაზე წაკითხვა, მისთვის გაუგებარი გახლდათ პრობლემის შინაარსი.

ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ მთავარი უზუსტობა გახლდათ ის, რომ ფრანგული ენა არ იყო გათვალისწინებული პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში, რაც შესაბამისად აჩენდა შეკითხვებს, თუ ვისთვის იყო შეთავაზებული აღნიშნული საგანი.

საბჭოს წევრმა ელენე ჯიბლაძემ განაცხადა, რომ დაწესებულება არჩევით საგნებს სთავაზობდა, როგორც ფრანგულ ასევე გერმანულ ენაზე, პროგრამაში წინაპირობად ჩადებული გახლდათ ინგლისური ენა, ცხადი იყო, რომ გერმანული ან ფრანგული ენების ცოდნა გახლდათ წინაპირობა არჩევითი საგნების გასავლელად. მისი მოსაზრებით, პროგრამას ჰქონდა არათანმიმდევრული სახე ვინაიდან გათვლილი გახლდათ ისეთ სტუდენტებზე, რომლებსაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარებული ექნებოდათ ინგლისური ენის გამოცდა .

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ფრანგული ენა გათვლილი იყო იმ სტუდენტზე, რომელსაც ეცოდინებოდა ფრანგული ენა, საგანი გახლდათ არჩევითი და თუ მას ექნებოდა სურვილი მხოლოდ აღნიშნულ შემთხვევაში აირჩევდა მას. საგანი არ გახლდათ სავალდებულო. პროგრამაში შეტანილი იყო ცვლილება და ფრანგული ენაც გათვალისწინებული იქნა წინაპირობებში.

ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ ვიზიტის შემდგომ დაწესებულებამ გამოასწორა ხარვეზების უმეტესობა, მაგრამ მოქმედი დებულების მიხედვით, საბჭოს არ ჰქონდა უფლებამოსილება განეხილა და გაეთვალისწინებინა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დასრულების შემდგომ შეტანილი ცვლილებები.

საბჭოს წევრმა მარინე ჩიტაშვილმა მიმართა კითხვით ელიზბარ ელიზბარაშვილს და დაინტერესდა პირობითი აკრედიტაციის არსებობის შემთხვევაში საბჭო დაუჭერდა თუ არა მხარს პროგრამისათვის პირობითი აკრედიტაციის მიცემის საკითხს.

ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ თუ ახალ პროგრამებთან მიმართებით იარსებებდა პირობითი აკრედიტაციის პროცედურა, საბჭო სავარაუდოდ მისცემდა პროგრამას განხორციელების შანსს.

საბჭოს წევრი ნუგზარ სხირტლაძე დაინტერესდა, თუ ექსპერტის გადაწყვეტილების თანახმად პროგრამა ვერ გავიდოდა შედეგზე, რატომ დაუჭირა მას ხმა სააკრედიტაციო საბჭოს რამდენიმე წევრმა და რატომ არ მიიღეს გადაწყვეტილება ერთხმად. აგრეთვე საინტერესო იყო როგორ მიიზიდავდა სასწავლო უნივერსიტეტი სტუდენტებს სამაგისტრო პროგრამაზე თუ მას არ ექნებოდა საბაკალავრო პროგრამა.

ელიზბარ ელიზბარაშვილის განცხადებით საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამას ჰქონდა ერთი და იგივე ტიპის შენიშვნები, იყო რაოდენობრივი და შინაარსობრივი განსხვავება, საბაკალავროს ჰქონდა მეტი მისი სირთულიდან გამომდინარე. რაც შეეხება იმ საკითხს, თუ რატომ დაუჭირა მხარი რამდენიმე წევრმა პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხს, მას აღნიშნულ საკითხზე პასუხი არ ჰქონდა. ელიზბარ ელიზბარაშვილმა აღნიშნა, რომ საბჭოს თითოეული წევრი გადაწყვეტილებას იღებდა პირადი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე.

საბჭოს წევრმა გრიგორ ტატიშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა მოსაზრება დასკვნაში მითითებულ ხარვეზებთან მიმართებით, რომელიც ეხებოდა სილაბუსებში სწავლის შედეგების დახვეწას ღირებულებების ნაწილში.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ ღირებულებები სწავლის შედეგებში ჩამოყალიბებული იქნა ისე, როგორც მათ მიიჩნიეს საჭიროდ. ვიზიტის დროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტ ზვიად როგავას ნიმუშის სახით წარედგინა ორი სხვადასხვა სილაბუსი შედარების თავლსაზრისით. სილაბუსები გარკვეულწილად ითვალისწინებდა ახალ მიდგომას.

საბჭოს წევრი ლაშა გოცირიძე დაინტერესდა დაწესებულება დაეთანხმა თუ არა რეკომენდაციას სამოქალაქო საპროცესო სამართლის და ასევე სისხლის საპროცესო სამართლის გაყოფასთან დაკავშირებით.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია არ იქნა გათვალისწინებული, მითითებული საგნები ერთ სემესტრში ისწავლებოდა სხვადასხვა უნივერსიტეტში, შესაბამისად მათაც ჰქონდათ გაწერილი ერთ სემესტრში. საგანს დათმობილი ჰქონდა 6 კრედიტი. ექსპერტების განმარტებით 6 კრედიტი არ იყო საკმარისი, თუმცა მათ არ დაუსაბუთებიათ აღნიშნული მოსაზრება.

საბჭოს წევრმა მარინე ჩიტაშვილმა მიმართა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს ლაშა მარგიშვილს განემარტა თუ რას ითვალისწინებდა სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი.

ლაშა მარგიშვილის განცხადებით სამართლის დარგი განეკუთვნებოდა რეგულირებად პროფესიას, რომელსაც გააჩნდა დარგობრივი მახასიათებელი, აღნიშნული მახასიათებელი დამტკიცებული იყო ცენტრის დირექტორის 2011 წლის პირველი ივნისის ინდივიდუალური აქტით და მასში აღწერილი იყო სამართლის საბაკალავრო, სამაგისტრო საფეხურის პროგრამის სწავლის შედეგები.

საბჭოს წევრის მარინე ჩიტაშვილის განცხადებით 2011 წელს მიღებულ დოკუმენტში არ იყო გაწერილი კონკრეტულად თუ რა საგნები უნდა ყოფილიყო პროგრამის სტრუქტურაში ჩადებული და რა რაოდენობის კრედიტი დაეთმობოდა თითოეულ საგანს. მისი აზრით 2011 წლის შემდეგ ცენტრს უნდა ეზრუნა არსებული დოკუმენტის დახვეწაზე, რაც მსგავსი გაუგებრობის თავიდან აცილების საფუძველი იქნებოდა.

ლაშა მარგიშვილმა განაცხადა, რომ ცენტრი მუშაობდა აღნიშნული დოკუმენტის ცვლილებაზე. როგორც აღინიშნა, დოკუმენტში გაწერილი გახლდათ მხოლოდ შედეგები, თუ რა უნდა სცოდნოდა სტუდენტს კონკრეტულ საფეხურზე.

საბჭოს წევრი მარინე ჩიტაშვილი დაინტერესდა არსებობდა თუ არა ცენტრში პრეცედენტი, აკრედიტაციის საბჭოს მოეწვია დარგის დამოუკიდებელი ექსპერტი და გარედან შეეფასებინა პროგრამის სრული დოკუმენტაცია, მაშინ როცა არსებობდა გაუგებრობა ექსპერტებსა და აკადემიურ პერსონალს შორის.

ლაშა მარგიშვილმა განაცხადა, რომ მსგავსი პრეცენდენტი არ ჰქონია ცენტრს, თუმცა აკრედიტაციის დებულება იძლეოდა იმის საშუალებას, კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია ზეპირ მოსმენაში შესაბამისი დარგის სხვა ექსპერტის, პროფესიული ორგანიზაციის წევრის, სფეროს სპეციალისტისა და სხვა პირთა მოწვევა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, კერძოდ რექტორმა ანზორ შარაშენიძემ განაცხადა, რომ არ ესწრებოდა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომას, როდესაც უარი ეთქვა აკრედიტაციაზე სამართლის საბაკალავრო პროგრამას. ექსპერტებთან დაკავშირებით მას ჰქონდა უარყოფითი დამოკიდებულება, რის საფუძველზეც მიმართა ლაშა მარგიშვილს ხომ არ იქნებოდა უმჯობესი აცილების მექანიზმით ესარგებლა უნივერსიტეტს, აღნიშნულთან დაკავშირებით ლაშა მარგიშვილმა განუცხადა, რომ განაცხადი

აცილებაზე უნდა ყოფილიყო დასაბუთებული. სათანადო დასაბუთების წარმოდგენის შემთხვევაში ცენტრი მოახდენდა ექსპერტთა ჯგუფის ჩანაცვლებას. ანზორ შარაშენიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ გადაწყვიტა პატივი ეცა ცენტრისთვის და აღარ მიმართეს აცილების მექანიზმის გამოყენების გზას.

ანზორ შარაშენიძის განცხადებით 10 წლის წინ, ექსპერტის სტატუსით დაწესებულებას სტუმრობდა დავით ბოსტოღანაშვილი (აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი) და ჰქონდა ანალოგიური მიდგომა და დასკვნის შინაარსიც გახლდათ თითქმის იდენტური. ვიზიტი არ განხორციელებულა ურთიერთთანამშრომლობის რეჟიმში, ვინაიდან ექსპერტები დაწესებულებაში მიდიოდნენ მხოლოდ ერთი საათით, ხოლო მათ შეკითხვაზე იყო თუ არა რაიმე არსებითი ხასიათის შენიშვნა მათ პასუხი არ გაუციათ. თავად პროგრამა გახლდათ გაკეთებული უმაღლეს დონეზე, მასზე მუშაობა მიმდინარეობდა ორი წლის განმავლობაში, მის შემუშავებაში ჩართული იყო არაერთი მოსამართლე და პროკურორი. გადაიხედა, როგორც პროფესორების, ასევე სხვა ექსპერტების მიერაც. სასწავლო კურსის შედგენის თავისუფლება მინიჭებული ჰქონდა პედაგოგს, მან უკეთესად იცოდა როგორ გაენაწილებინა საგნები და კრედიტები, შესაბამისად იგი ვერ დაუწესებდა გარკვეულ აკრძალვებს პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს. თავად დასკვნაში ფიქსირდებოდა, რომ პროგრამა გადიოდა შედეგზე, ხოლო სხდომაზე თავმჯდომარის შეკითხვაზე პასუხი გახლდათ, რომ პროგრამა ვერ მიაღწევდა დასახულ მიზნებს და ვერ გავიდოდა შედეგზე.

წარმომადგენლის განცხადებით, პროგრამა მოიცავდა ყველა სავალდებულო საგანს, რომელიც უნდა სცოდნოდა იურისტს. ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა არჩევითი საგნის დამატებას, თუმცა საგნის დამატება არ იყო მარტივი პროცედურა, იგი საჭიროებდა დაფიქრებას და გაანალიზებას თუ რომელი საგანი იქნებოდა საინტერესო და საჭირო მომავალი იურისტისათვის, საბოლოოდ არჩეული იქნა ისეთი საგნები, რომლის სპეციალისტი გახლდათ ცოტა, მიიჩნიეს, რომ ასეთი საგნების დამატება იქნებოდა უფრო მეტად მომგებიანი, თუმცა აღსანიშნავი იყო ისიც, რომ შედეგებზე პროგრამა გაჰყავდა სავალდებულო საგნებს და არა არჩევითს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მოიპოვეს თავად ექსპერტების მიერ შედგენილი პროგრამები, სადაც სისხლის სამართლის საგნებში ერთნაირად იყო გადაწერილი ღირებულებები. მათ პროგრამაში კი ლექტორს თავად ჰქონდა ჩამოყალიბებული ღირებულებები და არ იყო გადმოტანილი ფორმით.

საბჭოს წევრმა ელენე ჯიბლაძემ განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით პროგრამაში ჩადებული ლიტერატურა გახლდათ მოძველებული, თავად ექსპერტებიც მიუთითებდნენ რომ მაგ: სასურველი იქნებოდა გამოყენებული ყოფილიყო ლევან ალექსიძის 2013 წლის სახელმძღვანელო ნაცვლად 2008 წლის გამოცემისა.

წარმომადგენლის განცხადებით მას არ მიაჩნდა მართებულად ლევან ალექსიძის სახელმძღვანელოს გვერდით მიეთითებინა კიდევ სხვა ლიტერატურა, მისი მოსაზრებით დამატებითი ლიტერატურის გამრავალფეროვნება სრულიად საკმარისი იქნებოდა საგნის შესაბამისი ცოდნის მისაღებად. აგრეთვე ტექნიკური შეცდომა ფიქსირდებოდა ექსპერტების მხრიდანაც, კერძოდ ექსპერტმა დასკვნაში მიუთითა საგანი შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის შესახებ, რასაც ასევე ახლდა კრიტიკა, აღსანიშნავი იყო, რომ მითითებული საგანი დაწესებულებაში საერთოდ არ ისწავლებოდა, დაწესებულება სტუდენტებს სთავაზობდა შრომისა და დასაქმების სამართალს.

საბჭოს წევრმა ნუგზარ სხირტლაძემ განაცხადა, რომ აკრედიტაციის საბჭოზე წარმომადგენლები პასუხობდნენ ნაწილობრივ და დაუსაბუთებლად, დაწესებულებამ თავად

ჩაიყენა უხერხულ სიტუაციაში თავი მოკლე პასუხებით, როდესაც უმჯობესი იქნებოდა მუხლობრივად წინასწარ ჰქონოდათ მომზადებული არგუმენტები. იგი იცნობდა თავად ექსპერტებსაც და ეჭვი არ ეპარებოდა მათ პროფესიონალიზმში, შესაბამისად გაუგებრობა გამოწვეული იყო აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაწესებულების წარმომადგენელთა არასრული პასუხებით.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ ჰქონდათ მომზადებული პასუხები, თუმცა ზვიად როგავა ყოველ წარმოთქმულ წინადადებაზე აყენებდა კონტრარგუმენტს, იმ მიზნით, რომ მისი პოზიცია ყოფილიყო უფრო მეტად დამაჯერებელი საბჭოს წევრებისათვის.

თავმჯდომარემ მიმართა წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თუ რა იქნებოდა ის გადამწყვეტი არგუმენტი, რაც სააპელაციო საბჭოს დაარწმუნებდა პროგრამის ხელახლა განსახილველად დაბრუნების აუცილებლობაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ელიზბარ ელიზბარაშვილის განცხადებით საბჭოს შემადგენლობაში არ იყო იურისტის პროფესიის მქონე წევრი, რაც მათი მოსაზრებით აუცილებელი იყო, ვინაიდან იურისტის მიერ შეფასებული დასკვნა და გამოთქმული მოსაზრებები და შეკითხვები ექსპერტების მიმართ იქნებოდა შედარებით კვალიფიციური, რაც შესაძლოა გამხდარიყო დადებითი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი. ექსპერტებს სავარაუდოდ არ ესიამოვნათ, როდესაც დაწესებულება მათ არ დაეთანხმა გარკვეული რეკომენდაციების გაზიარების აუცილებლობაში, პროგრამა ასწავლიდა დარგობრივი მახასიათებლით დადგენილ ყველა სავალდებულო საგანს და მათი რწმენით და არაერთი სპეციალისტის მოსაზრებით მიიჩნევდნენ, რომ პროგრამა გადიოდა შედეგებზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი მაია გელაშვილი დაინტერესდა და კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს თუ რომელი ექსპერტების მიერ მოხდა პროგრამის გადამოწმება.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ვერ დაასახელებდა კონკრეტულ პირებს ვინაიდან აღნიშნული გამოიწვევდა უხერხულობას და არ იყო მიზანშეწონილი.

საბჭოს წევრი ელენე ჯიბლაძე დაინტერესდა აკრედიტაციის საბჭოზე მოხდა თუ არა მსჯელობა პროგრამის შინაარსსა და ძირითად საგნებზე.

ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ საბჭოზე მიმდინარეობდა წვრილი დეტალების განხილვა, რაც საბოლოო ჯამში გადაიზარდა კამათში და რთული გახდა საბჭოს ჩვეულ ფორმატში დაბრუნება, კამათი გასცდა საბჭოს პრეროგატივას.

16:39 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება
სხდომა განახლდა 16:50 საათზე

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: - 9
წინააღმდეგი: - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24^1 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28^7 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

თავმჯდომარის განმარტებით, საბჭომ იმსჯელა და ერთხმად გადაწყვიტა პროგრამის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საკითხი. მათი აზრით, ექსპერტთა დასკვნა არ იყო საკმარისად დასაბუთებული, აგრეთვე მხედველობაში იქნა მიღებული ის გარემოება, რომ დაწესებულების სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია, მაშინ როდესაც აკრედიტაცია არ მინიჭებია საბაკალავრო საფეხურის პროგრამას. აგრეთვე, საბჭოს შუამდგომლობა გახლდა აკრედიტაციის საბჭოზე მოწვეული ყოფილიყო სამართლის დარგის დამოუკიდებელი სპეციალისტი და საბჭო წარმოდგენილი ყოფილიყო შეძლებისდაგვარად სრული შემადგენლობით.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხის განხილვის შემდეგ, 16:54 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
აპოლონ სილაგაძე

მდივანი
ნინო დობორჯგინიძე